



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს თავჯდომარე**



ბრძანება:ბ49.49221431

თარიღი:23/05/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის**

**პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის**

**გელა თათარაშვილის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლებისა და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. გელა თათარაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მივლინებული იქნეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ბორჯომში სასტუმროში `Crovne Plaza~`ში საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიწვევით, (თემა - „ადამიანის უფლებების შესახებ მონაცემების შეგროვება და აღნიშნული მონაცემთა სარგებლობა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, გენდერული თანასწორობის, შშმ პირთა და სხვა საკითხებზე“), 2022 წლის 8-10 ივნისს.
2. გელა თათარაშვილის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს მაია ბერაძეს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯებისა და მაია ბერაძისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის შესაბამისი ანაზღაურება.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

